

საქმიანობის ანგარიში 2021

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ელ. ფოსტა: info@eqe.ge

ვებგვერდი: eqe.ge

სარჩევი

შესავალი	6
თავი I. ინსტიტუციური განვითარება	7
საკოორდინაციო საბჭო	7
საქმისწარმოება	7
ადამიანური რესურსების მართვა	8
სტრატეგიული კომუნიკაციები	8
მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა	9
ინფორმაციული უსაფრთხოება	10
პერსონალური მონაცემების დაცვა	11
ფინანსური რესურსების მართვა	12
შიდა ხარისხის სისტემის განვითარება	13
2022 წლის სამოქმედო გეგმა	14
თემატური ანალიზები	14
სხვა კვლევები და მეთოდოლოგიური დოკუმენტები	15
ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია	17
TWINNING კონფერენცია	19
თავი II. განხორციელებული აქტივობები	20
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა	20
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები	20
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი ღონისძიებები (ტრენინგები, კონსულტაციები, სამუშაო შეხვედრები, სახელმძღვანელოები და სხვა)	22
ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების განვითარება	22
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი	23
ENQA რეკომენდაციები და ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაო	24
სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა	25
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა	26
საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები	26
მხარდამჭერი სახელმძღვანელოები, ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები	27

ჩატარებული ტრენინგები, კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები	28
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი	31
არაფორმალური განათლება	31
სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა	32
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა	33
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა	33
საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები	34
შემუშავებული დოკუმენტები	34
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი	35
ჩატარებული სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები	35
სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა	36
ეროვნული კვალიფიკაციების განვითარება	37
პროფესიული და უმაღლესი დარგობრივი საბჭოების ადმინისტრირება	37
პროფესიული ჩარჩო დოკუმენტების ცვლილებები	37
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა და მონიტორინგი	38
შემუშავებული დოკუმენტები	39
სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები	41
სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა	41
სერვისების განვითარება	43
საგანმანათლებლო სერვისების განვითარება	43
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაცია	45
ინტერნაციონალიზაცია	46
WFME	46
ENQA	47
BFUG	47
CEENQA	48
Twinning	48
პროექტები	49
ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა	50
2020 წლის სამოქმედო გეგმის შეუსრულებელი აქტივობების ანალიზი	52

გამოყენებული აბრევიატურა

- AQAS** - გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო
- BFUG** - ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფი
- BICG** - ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის ჯგუფი
- CAF** - ერთიანი შეფასების ჩარჩო
- CEENQA** - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი
- CIMEA** - აკადემიური მობილობისა და შესაბამისობის საინფორმაციო ცენტრი
- Crafting Future** - ბრიტანეთის საბჭოს პროგრამა
- DAAD** - გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური
- DEQAR CONNECT** - ერაზმუს პლუსის მიერ დაფინანსებული პროექტი
- EACEA** - განათლების, აუდიოვიზუალისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტო
- ECA** - სააგენტოების აკრედიტაციის ევროპული კონსორციუმი
- ECVET** - პროფესიული განათლების სფეროში კრედიტები
- EDU LAB** - განათლების ლაბორატორია - განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის მიერ დაფინანსებული პროექტი
- EKKA** - ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო
- ENQA** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია
- EQAR** - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრი
- ETF** - ევროპის ტრენინგის ფონდი
- EUA** - ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია
- EuNIQ** - ერაზმუს პლუსის მიერ დაფინანსებული პროექტი
- INQAAHE** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელი

IPSAS - საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

ITEAC -თურქეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ორგანიზებული ხარისხის უზრუნველყოფის კონგრესი

LLL - სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში

MICROBOL - ბოლონიის მოთხოვნების გათვალისწინებით ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებები

PLA - პროფესიული გამოცდილების გაზიარება

PROFFORMANCE- ერაზმუსის მიერ დაფინანსებული პროექტი

RURD - ერაზმუსის მიერ დაფინანსებული პროექტი

SQUARE - ერაზმუსის მიერ დაფინანსებული პროექტი

Staff Mobility - პერსონალის გაცვლითი პროგრამა

TPG A on QF - კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფი

TPG B on RLC - ლისაბონის კონვენციის აღიარების თემატური საექსპერტო ჯგუფი

TPG on QA ხარისხის უზრუნველყოფის თემატური საექსპერტო ჯგუფი

Twinning - საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი, „ხარისხის

უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“

WFME - სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია

შესავალი

მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ანგარიში, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდს 2021 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ანგარიში აერთიანებს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის 2021 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესახებ. ასევე, ანგარიში დაინტერესებულ მხარეებს აწვდის დამატებით ინფორმაციას ცენტრის იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებების და მიღწევების შესახებ, რომლებიც სტრატეგიულ დოკუმენტებში არ არის გაწვრილი, თუმცა პასუხობს ცენტრის მისიას და ძირითად სტრატეგიულ ამოცანებს.

წარმოდგენილი ანგარიში შედგება სამი თავისგან. *პირველ თავში* განხილულია ცენტრის საქმიანობის ანგარიში ძირითადი სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. *მეორე თავში* წარმოდგენილია ცენტრის სტრატეგიის განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების წესის შესაბამისად, ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური კოორდინაციას უწევდა ცენტრის საქმიანობის პროგრეს ანგარიშების შემუშავებას. წარმოდგენილი ანგარიში მომზადდა ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის შედეგად.

თავი I. ინსტიტუციური განვითარება

საკოორდინაციო საბჭო

საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენს ცენტრის მართვის, მისი საქმიანობისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კოლეგიურ ორგანოს. 2021 წელს ცენტრის დებულებაში შევიდა ცვლილება საკოორდინაციო საბჭოს სტატუსთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს როლი მისი მართვის, საქმიანობისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების პროცესებში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ახალი შემადგენლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 13 აპრილის ბრძანებით, ორი წლის ვადით დაინიშნა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან განათლების ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

საკოორდინაციო საბჭოს ახალმა შემადგენლობამ 2021 წლის განმავლობაში გამართა საკოორდინაციო საბჭოს 3 სხდომა, სადაც ჯამურად საბჭომ განიხილა 9 საკითხი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების, სტრატეგიული დოკუმენტების და ცენტრის ბიუჯეტის შესახებ. საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე ასევე განხილული იყო საბჭოს შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესებას. საკოორდინაციო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია და მხეხვედრის ოქმები საჯაროა და ცენტრის ვებგვერდზე¹ ხელმისაწვდომი.

საქმისწარმოება

2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ადმინისტრირების სტანდარტი, რომლის მიზანია დისტანციურ რეჟიმში ცენტრის სერვისებით მოსარგებლე მომხმარებლისთვის შესაბამისი მომსახურების (ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მიღება/გაცემა) უზრუნველყოფა, ქცევისა და კომუნიკაციის ზოგადი წესების განსაზღვრა.

2021 წელს დასრულდა 2016-2018 წლების საარქივო დოკუმენტაციის საარქივო წესით დამუშავება.

კანონმდებლობის შესაბამისად, ანაწერები და ვადაგასული დოკუმენტაციის განადგურების აქტი განიხილა და მოიწონა ცენტრის საექსპერტო კომისიამ, განიხილა და დაამტკიცა ეროვნული

¹ <https://eqe.ge/ka/page/static/992/sakoordinacio-sabtchos-skhdomis-ogmebi>

არქივის საექსპერტო შემმოწმებელმა კომისიამ, რის შემდეგაც აღნიშნული ანაწერები და განადგურების აქტი დაამტკიცა ცენტრის დირექტორმა.

2021 წელს განხორციელდა ცენტრის არქივში დაცული 2006-2018 წლების მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტაციის გაციფრულება. კერძოდ:

- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მასალები 2006-2018 წწ;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მასალები 2006-2018 წწ;
- ცენტრში არსებული საბჭოების გადაწყვეტილებები და ოქმები 2016-2018 წწ;
- ცენტრის დირექტორის ბრძანებები ძირითადი საქმიანობის შესახებ 2010-2014 წწ;
- ცენტრის დირექტორის ბრძანებები პირად შემადგენლობაზე 2010-2014 წწ;
- ცენტრში დასაქმებულთა შრომითი ხელშეკრულებები 2006-2016 წწ.

ადამიანური რესურსების მართვა

ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის აქტიური ჩართულობით შემუშავდა და დამტკიცდა ცენტრის ახალი შინაგანაწესი და მისი გაცნობის მიზნით სტრუქტურულ ერთეულებთან ჩატარდა შეხვედრები. შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არის ცენტრში კვალიფიციური, მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანების შერჩევასთან, დასაქმებასთან, პროფესიულ განვითარებასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული პროცესების, მიდგომების, ფასეულობებისა და პრინციპების ერთობლიობა და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ცენტრის მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პოლიტიკა ეფუძნება ადამიანური რესურსის უდიდესი მნიშვნელობის აღიარებას ცენტრის საქმიანობის ყველა დონეზე. ცენტრი მიიჩნევს, რომ ადამიანური რესურსი წარმოადგენს სტრატეგიული პოტენციალის ძირითად ძალას.

ამასთან, შემუშავდა და დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის წესი“. ცენტრში ჩატარდა სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსები, რომელთა შედეგად 8 სტრუქტურულ ერთეულში 13 სტაჟიორი იქნა შერჩეული, სტაჟირების დასრულების შემდეგ ცენტრში დასაქმდა სამი სტაჟიორი. საანგარიშო პერიოდში დასრულდა 11 კონკურსი, აქედან 10 შტატით განსაზღვრულ პოზიციებზე, 1 - შტატგარეშე პოზიციაზე, გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეირჩა 10 კანდიდატი. ამასთანავე, კარიერული განვითარების გზით ახალ თანამდებობაზე დაინიშნა ცენტრის 7 თანამშრომელი. საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ცენტრის შტატგარეშე და შტატით განსაზღვრულ პოზიციებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტები.

სტრატეგიული კომუნიკაციები

ცენტრმა 2021 წლის 5 მარტს გამოსცა პირველი ელექტრონული ჟურნალი - „განათლების ხარისხის დაიჯესტი“, რომელიც განთავსდა ცენტრის ვებგვერდზე და ასევე, გამოცემის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ცენტრის ფეისბუქ გვერდზე. ჟურნალში წარმოდგენილია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან დაკავშირებული სტატიები, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მოკლე ანალიზი და ყველა დაინტერესებული მხარისთვის საინტერესო

სხვადასხვა ინფორმაცია. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ელექტრონული ჟურნალის რედკოლეგია, რომლის წევრებიც არიან ცენტრის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები. რედკოლეგიის წევრებისა და ცენტრის სხვა თანამშრომლების მიერ მომზადებული სტატიები განთავსდა ელექტრონულ ჟურნალში.

გარდა ამისა, ცენტრის საქმიანობის მიმდინარეობის გამჭვირვალედ და დაინტერესებული მხარეებისათვის ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, შემუშავდა ხშირად დასმული კითხვების სისტემის კონცეფციის დოკუმენტი. კონცეფციის დოკუმენტის შექმნის მიზანია, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eqe.ge), ხშირად დასმული კითხვების ველის საშუალებით, მოქალაქეებმა მიიღონ ყველაზე მოთხოვნად კითხვებზე რელევანტური და ამომწურავი პასუხები. დოკუმენტში გაიწერა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა ვალდებულებები, განისაზღვრა მონიტორინგისა და ინფორმაციის მინოდების ვადები.

საანგარიშო პერიოდში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის სხვადასხვა საშუალებებთან. მათ შორის: interpressnews.ge-თან, გაზეთ „ახალ განათლებასთან“, რადიო იმედთან, რადიო კომერსანტთან და საზოგადოებრივ მაუწყებელთან. ცენტრის დირექტორი მინვეული იყო სხვადასხვა თემატურ გადაცემებში. ასევე, გავრცელდა ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული სტატიები და ნიუსები ცენტრის საქმიანობის, მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

ცენტრში შემუშავდა 2021 წლის მედიასთან ურთიერთობის გეგმა. მედიასთან ურთიერთობის გეგმაში გაიწერა ცენტრის მიერ განსახორციელებელი ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება.

2021 წლის ივნისში სამუშაო შეხვედრა გაიმართა მედიის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც განათლების თემებზე მუშაობენ. სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ცენტრის საქმიანობის, მიმდინარე პროექტების, მიღწევების, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ სრული ინფორმაციის მინოდება. მედიას წარუდგინეს შემდეგი თემატური პრეზენტაციები: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა და სამომავლო ხედვები; ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და 16 მედია საშუალების წარმომადგენლები.

მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა

ცენტრის ორგანიზაციული მოწყობით, რესურსებითა და მიმდინარე პროცესებით მისი ინსტიტუციური მდგრადობის და მუშაობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა ცენტრის მატერიალური ბაზის შესაბამისობის კვლევა. კვლევის მეშვეობით შეფასდა მატერიალური რესურსის შესაბამისობა ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციამოვალეობებთან მიმართებით. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ცენტრის თანამშრომლების კმაყოფილების განსაზღვრა ცენტრში არსებული მატერიალური რესურსების, სამუშაო გარემოს, საჭირო საკანცელარიო და საოფისე მოწყობილობების მომარაგების, კომპიუტერული ტექნიკის

გამართულობის, საოფისე ავეჯის და სხვა რიგი საჭიროებების შესახებ. კვლევა 2021 წლის იანვარ-მარტის პერიოდში ჩატარდა და თანამშრომლების ონლაინ გამოკითხვით მიღებულ შედეგებს დაეყრდნო. კვლევამ გამოავლინა მატერიალური რესურსების კუთხით არსებული საჭიროებები და გამოკვეთილი გამონკვევების საპასუხოდ შეიმუშავა რეკომენდაციები.

აღნიშნული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ცენტრის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, შენობის საოფისე ფართის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. აღნიშნული ტენდერის საშუალებით, წარმატებით განხორციელდა ცენტრის კუთვნილი საოფისე ფართის პირველი, მე-4 და მე-5 სართულების სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე საოფისე ფართის ნაწილი აღიჭურვა ახალი ავეჯით: საოფისე სავარძლებით, მაგიდებით, კარადებით და ჩაშენებული ავეჯით. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, რამდენიმე ადგილას საოფისე ფართის ფოიეში და სამუშაო სივრცეში მოეწყო ცენტრის საიმპიჯო კუთხე შესაბამისი ბრენდირებით, ასევე მე-4 სართულის ფოიეში მოეწყო ე.წ. „მწვანე სივრცე“ ბუნებრივი მცენარეების სახით. არსებული კოვიდპანდემიის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრის შენობაში განთავსდა კოვიდ ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგო დეზო ბარიერები, შემოსასვლელში განთავსდა სტაციონალური ტემპერატურის საზომი ელექტრონული აპარატურა, ცენტრს საოფისე ფართის რამდენიმე წერტილში განთავსდა ხელის დასამუშავებელი ანტი-ბაქტერიული სითხე შესაბამისი დისპანსერებით.

ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით, 2021 წელს განხორციელდა: ა) მონაცემთა ბაზების პროგრამული პაკეტის და ბ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ბეჭდვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სახელმწიფო შესყიდვა. განხორციელდა ცენტრში ოფისში არსებული სტაციონალური კომპიუტერების გაძლიერება ოპერატიული მეხსიერების გაზრდით, ასევე შეძენილი იქნა კომპიუტერის სხვადასხვა პერიფერიული მოცნობილობები, როგორცაა ვებკამერები, ყურსასმენები, დინამიკები, კლავიატურა, მაუსი და ა.შ. 2021 წლის განმავლობაში ცენტრი უზრუნველყოფილი იყო ZOOM-ის საკომუნიკაციო და მულტიმედიის პაკეტებით, რომლის მეშვეობითაც ცენტრის სტრუქტურული ერთეულები აორგანიზებდნენ სამუშაო და სხვა სახის შეხვედრებს როგორც ცენტრის შიგნით, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ თუ მონვეულ მხარეებთან. 2021 წლის განმავლობაში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის 123 ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 670,906 (ექვსას სამოცდაათი ათას ცხრას ექვსი) ლარი.

ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის ბრძანებით დამტკიცდა ცენტრის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შედგენის საფუძველს წარმოადგენდა ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ შევსებული და მოწოდებული შესყიდვის მოთხოვნის ფორმები.

ინფორმაციული უსაფრთხოება

2021 წლის თებერვალში დამტკიცდა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) საბჭოს სამოქმედო დოკუმენტი.

პერიოდულად ტარდებოდა იუმს-ის საბჭოს შეხვედრები. შემუშავდა და დამტკიცდა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის გავრცელების სფეროს დოკუმენტი. ის მოიცავს

ზოგად დებულებას, მიზანს, ორგანიზაციულ მოწყობას, მასში განერილია ის ბიზნესპროცესები, რომლებიც კრიტიკული ინფორმაციის მატარებელი და ინფორმაციული უსაფრთხოების გავრცელების სფეროა. დოკუმენტში ასევე მოცემულია გავრცელების სფეროს დასაბუთება. დოკუმენტი დამტკიცებამდე განსახილველად წარედგინა სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს და ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს. ცენტრის იუმს-ის გავრცელების სფეროს მასშტაბის ცვლილების შესაბამისად, შემუშავდა იუმს-ის დანერგვის ახალი სამუშაო გეგმა.

2021 წლის განმავლობაში, პერიოდულად ხდებოდა ცენტრის სხვადასხვა დოკუმენტების გადახედვა და მათი ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. მათ შორის, მომზადდა ცენტრის ვებგვერდისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემის პორტალის უსაფრთხოების ტექნიკური დავალება. ასევე, შემუშავდა ცენტრის ელექტრონული სერვისებისა და მოწყობილობების მოხმარების პოლიტიკა.

ცენტრში განხორციელდა ფიშინგტესტის სიმულაცია. ტესტის საფუძველზე, ასევე შემუშავდა შესაბამისი ტრენინგების სილაბუსი.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ცენტრის კომპიუტერული და ქსელური სისტემების უსაფრთხოების შემოწმება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება ტექნიკური ჯგუფებისთვის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის მისაღწევად. შემუშავდა ელექტრონული სერვისებისა და მოწყობილობების მოხმარებისა პოლიტიკა.

პერსონალური მონაცემების დაცვა

შემუშავდა პერსონალურ მონაცემთა რეგისტრაციის ფორმა, რომელშიც, აისახება გამუდმებული პერსონალური მონაცემების თაობაზე ინფორმაცია.

ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებს ჩაუტარდათ ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ტრენინგი ჩაუტარდათ ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტებს.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრში დასაქმებულ ყველა პირს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნებოდა ინფორმაციული ხასიათის წერილები პერსონალურ მონაცემთა სხვადასხვა საკითხებზე. ასევე, ცენტრის სხვადასხვა სამართლებრივ აქტში, მათ შორის, შინაგანანესში, შევიდა ცვლილება/დამატება პერსონალურ მონაცემთა თაობაზე სხვადასხვა მარეგულირებელ ნორმასთან მიმართებით.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ეფექტურად დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, შიდა აუდიტის სამსახურმა 2020 წლის დეკემბერში ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე დაადგინა ძირითადი რისკები, რომელთა იდენტიფიცირებისათვის და შეფასებისათვის შემუშავდა ინდიკატორები და შეფასდა ქულებით, ასევე დადგინდა არსებითობის წონები. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შემუშავდა 2021-2023 წლების სტრატეგიული და 2021 წლის წლიური გეგმები.

2021 წელს განხორციელდა დაგეგმილი 4 აუდიტორული შემოწმება.

ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სამუშაო ვებინარებში. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, შიდა აუდიტის სუბიექტების წარმომადგენლები/აუდიტორები ერთმანეთს აცნობენ აუდიტორული შემოწმებების განხორციელების მეთოდებს, არსებულ საუკეთესო პრაქტიკებს, ასევე სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის თაობაზე გამოცდილებას.

ცენტრში რისკების მართვის სისტემის ეფექტურად დანერგვის მიზნით, შიდა აუდიტის სამსახური ასევე გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურმა, დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, ჩაატარა ტრენინგები რისკის მართვის სისტემის თაობაზე. აღნიშნული ტრენინგები ჩაუტარდათ ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებს, მათ მენეჯერებს (უფროსი/უფროსის მოადგილე), ასევე დირექტორის მოადგილეებს. ტრენინგების ფარგლებში განიხილეს რისკის არსი, მისი ანალიზისა და შეფასების მეთოდები, რისკის კატეგორიები, რისკის მართვის მოდელები, შეფასების მატრიცა, კონტროლის არსი და საპასუხო ღონისძიებები.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის მიზნით, შიდა აუდიტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტთან. მათ მიერ შემუშავდა შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტი, რომელიც დამტკიცების შემდეგ დაინერგება ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

2021 წლის ბოლოს შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა რისკის შეფასება, რომლის საფუძველზეც შევიდა შესაბამისი ცვლილებები ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის 2021-2023 წლების სტრატეგიულ გეგმაში და დამტკიცდა 2022 წლის ცენტრის შიდა აუდიტის წლიური გეგმა, რომლის თანახმად, დაგეგმილია 5 აუდიტორული შემოწმების ჩატარება, მათ შორის 2 სისტემური, 2 შესაბამისობის და 1 ეფექტიანობის აუდიტები.

ფინანსური რესურსების მართვა

2021 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმდა ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტი ჯამში 8,231,300.00 ლარის ოდენობით. შეთანხმდა ცენტრის 2022 წლის საშტატო განრიგი, შესაძენი საწვავის ხარჯის და გასაწევი საკომუნიკაციო (სატელეფონო და ფიჭური კავშირგაბმულობის) ხარჯების ლიმიტები და თანამშრომელთა (შტატით განსაზღვრულ და შტატგარეშე პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელთა) სახელფასო და მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრები. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმდა ცენტრის ბიუჯეტი, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი. მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულებების „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების პროექტები. აღნიშნულ გამონაკლისებზე გამოცემულია საქართველოს მთავრობის განკარგულებები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარედგინა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის და 2020 წლის ანგარიშები და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 35-ე და 36-ე

მუხლების მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი 2022-2025 წლების საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.

მომზადდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარედგინა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება. *(ბალანსი).*

დადგინდა პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ცალკეული ადმინისტრაციული წარმოების საფასურის კალკულაცია და მომზადდა:

ა) ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების საფასურის პროექტი.

ბ) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისათვის საფასურის პროექტი.

2021 წლის განმავლობაში ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ უზრუნველყოფილია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და სერვისების განვითარების სამსახურების მიერ წარმოებების ფარგლებში განსახორციელებელი და ცენტრის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო *სამუშაოები*.

შიდა ხარისხის სისტემის განვითარება

ცენტრში, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვისთვის, ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით მომზადდა ცენტრის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნესპროცესების ნუსხა.

შემუშავდა მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ბიზნესპროცესების აღწერის საერთაშორისოდ დადგენილ მიდგომებს. მეთოდოლოგია ეფუძნება RASCI (Responsible – Accountable – Supportive – Consulted - Informed) პრინციპებს და მოიცავს რისკების ანალიზის ნაწილს. მეთოდოლოგია შემუშავებულია ევროკავშირის დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში.

შემუშავდა ბიზნეს პროცესების აღწერის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც წლის განმავლობაში აღიწერა 15 პროცესი, სადაც თითოეულმა სტრუქტურულმა ერთეულმა/პასუხისმგებელმა პირმა არანაკლებ ერთი პროცესი გაანალიზა. აქტივობის ფარგლებში, მომზადდა განვლილი სამუშაოს ანალიზი, რომელზე დაყრდნობით გადაისინჯა და დირექტორს წარედგინა ბიზნესპროცესების განახლებული ნუსხა.

ცენტრში ამოქმედდა სტრატეგიის და სტრატეგიის განხორციელების ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. სისტემის მოხმარებისთვის შეიქმნა ინსტრუქცია და სტრუქტურულ ერთეულებს ჩაუტარდათ ტრენინგი. პორტალზე განხორციელდა სტრატეგიული დოკუმენტების ინტეგრირება, სისტემაში მომხმარებლების დამატება და პორტალის სხვა მოსამზადებელი სამუშაოები.

პორტალის საშუალებით ხდება თითოეული აქტივობის ანგარიშის მომზადება, დასრულებული აქტივობების შუალედური სტატუსების მინიჭება ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ, ხოლო საბოლოო სტატუს ანიჭებენ აქტივობის კურატორი დირექტორის მოადგილეები და დირექტორი. პორტალზე განთავსებული ინფორმაციის გამოყენებით მზადდება კვარტალური და წლიური ანგარიშები. წლის განმავლობაში გადაიხედა და შემუშავდა პორტალის გაუმჯობესების კონცეფცია, რომელიც მორგებულია ცენტრის საჭიროებებზე.

2022 წლის სამოქმედო გეგმა

ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, შემუშავდა ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმა. 2021 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში, ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებს ჩაუტარდათ ტრენინგი სტრატეგიის სამოქმედო გეგმისთვის აქტივობების, შესაბამისი ინდიკატორების და მტკიცებულებების შემუშავების თაობაზე, გაეცნენ დოკუმენტის შემუშავების ვადებს, აქტივობების განერის ძირითად პრინციპებს. სტრატეგიის და მისი ამოცანების შესაბამისად სამსახურებმა შეიმუშავეს აქტივობები, ვადების, ინდიკატორების, მტკიცებულებების და რესურსების მითითებით. სამოქმედო გეგმის პროექტი ცენტრის მენეჯმენტთან შეთანხმების შემდეგ წარდგენილ იქნა დაინტერესებული მხარეებისთვის. ჩატარებულ შეხვედრებს 300-მდე პირი დაესწრო, მათ შორის, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, რესურსცენტრების წარმომადგენლები, საბჭოების წევრები და ცენტრის ექსპერტთა კორპუსის წევრები. სამოქმედო გეგმის პროექტი ასევე გაუზიარდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. შეხვედრების დასრულების შემდგომ, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი აისახა პროექტში. პროექტის შეჯერებული ვერსია წარედგინა ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შესათანხმებლად. საბოლოო დოკუმენტი 2021 წლის 15 დეკემბერს წარედგინა დირექტორს დასამტკიცებლად. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სამოქმედო გეგმაში განერილია 6 მიზნის 25 ამოცანის 72 აქტივობა. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება 2022 წლისთვის გაგრძელდება მონიტორინგის ელექტრონული პორტალის საშუალებით. 2022 წლის სამოქმედო გეგმა განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე: <https://bit.ly/3A3llh4>

თემატური ანალიზები

კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების სისტემური მიდგომის დანერგვის მიზნით, ევროკავშირის დაძმობილების პროექტის (Twinning) ფარგლებში მომზადდა თემატური ანალიზის მეთოდოლოგია. თემატური ანალიზის მეშვეობით ცენტრის ახდენს რეფლექსიას არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებზე და ანალიზის შედეგების გათვალისწინებით გეგმავს პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას და მთლიანობაში სისტემის შემდგომ განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში, შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ცენტრში სამ თემატურ ანალიზზე დასრულდა მუშაობა:

- საქართველოში პროფესიული განათლების სწავლის სფეროების შინაარსობრივი ცვლილებები და ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მათი შესაბამისობა;

- საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში აღიარების საკითხთან დაკავშირებული არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები;
- სამედიცინო განათლების, მათ შორის კლინიკური სწავლების, ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ თემატური ანალიზი.

თემატური ანალიზების შედეგები ევროკავშირის დაძმობილების პროექტის (TWINNING) დასკვნით კონფერენციაზე დაინტერესებულ მხარეებს გააცნეს, რომელიც 15 ივნისს ჩატარდა.

სხვა კვლევები და მეთოდოლოგიური დოკუმენტები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის საგრანტო პროექტ განათლების ლაბორატორია (EDU LAB) თანამშრომლობით, განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრთა პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა და PLA ღონისძიებები. კვლევის ფარგლებში დადგინდა უმაღლესი განათლების ექსპერტთა პროფესიული საჭიროებები და შემუშავდა რეკომენდაციები. კვლევის ძირითადი მიგნებების და ცენტრის ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციის შედეგად, დაიგეგმა ექსპერტთა გამოცდილების გაზიარების ღონისძიებები (PLA) სამ თემაზე: შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასება/სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გარე შეფასება და ინტერნაციონალიზაციის შეფასება. ორგანიზების დროს გაითვალისწინეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. PLA სესიები აგვისტოში ჩატარდა. ცენტრის წარმომადგენლებმა ცენტრის პერსპექტივიდან ექსპერტებს გაუზიარეს აღნიშნული საკითხების შეფასების ძირითადი გამოწვევები. ექსპერტებმა წარმოადგინეს ძირითადი გამოწვევები შეფასების პროცესში ექსპერტის და ინსტიტუციის პერსპექტივიდან. საერთაშორისო მომხსენებელმა გააზიარა ინფორმაცია პროგრამის შინაარსისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების შესახებ საერთაშორისო გამოცდილების თაობაზე. პრეზენტაციების შემდეგ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. გამართულ სესიებში აღსანიშნავია ესტონური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს EKKK-ს, ევროპის სტუდენტთა ასოციაციის ESU-ს, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეგისტრის EQAR-ის და გერმანიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს AQAS-ის წარმომადგენელთა ჩართულობა. ასევე, PLA ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, ENQA-ს წევრი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს, გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (AQAS) და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში, სტრუქტურული ერთეულების ინიციატივით სამუშაო ჯგუფების ფორმატში ჩატარდა რამდენიმე კვლევა შემდეგ თემებზე: ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების კუთხით საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებების შესწავლა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის შეფასების კვლევა და

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებების კვლევა. ამასთან, ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანი იყო ცენტრის მომსახურების მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების კმაყოფილების შეფასება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად, კვლევა ისახავდა შემდეგ ამოცანებს: ა) ცენტრში უკვე არსებულ (საანგარიშო წლის განმავლობაში შეგროვებულ) ისევე, როგორც დამატებით (ამ კვლევის ფარგლებში შეგროვებულ) მონაცემებზე დაყრდნობით სერვისებით კმაყოფილების შეფასება; ბ) მთავარი გამოწვევების გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება სერვისების ხარისხის გასაუმჯობესებლად. კვლევა მოიცავდა ცენტრის საქმიანობას შემდეგი მიმართულებით: ა) ზოგადი განათლება, ბ) პროფესიული განათლება, გ) უმაღლესი განათლება, დ) საგანმანათლებლო სერვისები და ე) კომუნიკაცია. თითოეული მიმართულებით ცენტრის აქტივობების შესაფასებლად შემუშავდა ინდივიდუალური მეთოდოლოგია, რომელიც განისაზღვრა საკვლევის კითხვების, რესპონდენტების ტიპის და ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო თვისებრივი, ისევე, როგორც რაოდენობრივი მეთოდები, მათ შორის: სამაგიდე კვლევა, ფოკუსჯგუფები, სატელეფონო ინტერვიუები, ონლაინგამოკითხვა. კვლევის მთავარი მიგნებები წარმოდგენილია ანგარიშის სახით. კვლევის ანგარიშები ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე².


საანგარიშო პერიოდში შემუშავდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების საქმიანობის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ცენტრის მიერ შემუშავებული საბჭოების საქმიანობის შეფასების კონცეფციის ძირითად მოთხოვნებს. კონცეფცია საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად ევროკავშირის დაძმობილების პროექტის (TWINNING) ფარგლებში განიხილეს. მეთოდოლოგიაზე მუშაობის პროცესში ცენტრის ხელმძღვანელობისთვის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის გაკეთდა პრეზენტაციები. დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ ზეპირ, ისევე, როგორც წერილობით უკუკავშირზე დაყრდნობით გადაიხედა შეფასების მეთოდოლოგიის სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის აქტივობების პერიოდულობა, კითხვარები და სხვა. მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების საბოლოო ვერსიების შეჯერების შემდეგ, შემუშავდა მისი პილოტირების გეგმა. მეთოდოლოგიის პილოტირების მიზნებისთვის შეირჩა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ) ავტორიზაციის საბჭო. შეფასების პერიოდს შეადგენდა 2021 წლის ივლისი-დეკემბერი. შეფასების პროცესში გამოიყენებულ იქნა მონაცემების შეგროვების შემდეგი მეთოდები: გამოკითხვა (ინფორმაციის წყარო: ავტორიზაციის საბჭოს სხდომებში მონაწილე ექსპერტები; საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები; საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლები); რაოდენობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი (ინფორმაციის წყარო: სხდომის ოქმები); საბჭოს სადისკუსიო შეხვედრები (მონაწილეები: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსა და სამდივნოს წევრები). ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები როგორც საბჭოს საქმიანობის, ასევე შეფასების მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად.

²<https://eqe.ge/res/NewFolder%204/NewFolder/%E1%83%9E%E1%83%A1%E1%83%93%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%20-%2028.04.2021.pdf>

ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 2021 წლის 28, 29 იანვარს და 1 თებერვალს, ონლაინრეჟიმში, ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება: მიღწევები და გამოწვევები“.

კონფერენციის პირველ დღეს განიხილეს მიღწევები და გამოწვევები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების კუთხით, ასევე, ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ძირითადი მიმართულებები, რომის მინისტრიალის შემდეგ, ბოლონიის პროცესის გავლენა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაზე, უმაღლეს განათლებაში, მიკროკრედიტების აღიარების ევროპული და ეროვნული გამოცდილება, სამედიცინო განათლების ხარისხის განვითარება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) განახლებული მოთხოვნების შესაბამისად; უმაღლეს განათლებაში ელექტრონული და შერეული სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, სტუდენტების როლი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებაში.



ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის, უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების, პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა მსოფლიოს 20 ქვეყნიდან, ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრებმა, ასევე სტუდენტებმა, დამსაქმებლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა.

კონფერენციის მეორე დღე დაეთმო ზოგად განათლებას, რომელზეც განიხილეს ზოგადი განათლების რეფორმის მიმდინარეობა და პერსპექტივები, მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები და გადაჭრის გზები, საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება: მიღწევები და გამოწვევები.

კონფერენციის მეორე დღე, ასევე დაეთმო უმაღლეს განათლებას, რომელზეც განიხილეს უმაღლეს განათლებაში ელექტრონული და შერეული სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა.

კონფერენციის მესამე დღეს განიხილეს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მიღწევები და გამოწვევები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვა და თვითშეფასების ანალიზის შედეგები, ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება საქართველოში/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვის ანალიზი - მიღწევები და გამოწვევები, პროფესიული კრედიტების სისტემა (ECVET) საერთაშორისო გამოცდილება. პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის განვითარება. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სისტემის დანერგვის გამოწვევები COVID-19 პირობებში.

TWINNING კონფერენცია

2021 წლის 15 ივნისს, განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა და ევროკავშირის დაძმობილების პროექტმა „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“ ერთობლივად ჩაატარეს კონფერენცია თემაზე: „კლასტერული აკრედიტაცია და თემატური ანალიზი საქართველოში“. ღონისძიებაზე გამოსულმა მომხსენებლებმა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კლასტერული აკრედიტაციის პილოტირებისა და უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით ახალი პროცედურების საფუძველზე თემატური ანალიზის განხორციელების შედეგად მიღებულ გამოცდილებაზე ისაუბრეს.

კლასტერული აკრედიტაციის, როგორც საუკეთესო ევროპული პრაქტიკის, დანერგვას რეკომენდაცია დაძმობილების პროექტის ექსპერტებმა გაუწიეს. კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლით, სამომავლოდ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე, დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდში, ნაკლები ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების ნაცვლად, პროგრამათა ჯგუფების აკრედიტაციის საშუალება ექნებათ.



Twinning კონფერენცია

კონფერენციის ფარგლებში, დაძმობილების პროექტის ექსპერტების რეკომენდაციებისა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და პოლიტიკის გათვალისწინებით, დაინტერესებულმა მხარეებმა საქართველოში კლასტერული აკრედიტაციისა და თემატური ანალიზის სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს უმაღლესი, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, დაძმობილების პროექტისა და ბენეფიციარი დაწესებულების - ცენტრის ექსპერტთა კორპუსის წევრები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები.

თავი II. განხორციელებული აქტივობები

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

საანგარიშო პერიოდში COVID-19 პანდემიის რისკებიდან გამომდინარე, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტები ხორციელდებოდა ჰიბრიდულ რეჟიმში, რაც გულისხმობს ინტერვიუების ონლაინ, პლატფორმა Zoom-ის საშუალებით ჩატარებას და მატერიალური რესურსების ინსტიტუციაში მონახულებას, ხოლო საბჭოს სხდომები დისტანციურად ხორციელდებოდა. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს სხდომები, მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 17 სხდომა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 93 სხდომა და სააპელაციო საბჭოს 13 სხდომა.


საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 391 საკითხი, მათი განხილვის შედეგად მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილებები: აკრედიტაცია მიენიჭა - 280 საგანმანათლებლო პროგრამას; პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა - 25 საგანმანათლებლო პროგრამას; აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი ეთქვა - 8 საგანმანათლებლო პროგრამას; მონიტორინგის შედეგად შეწყდა წარმოება - 29 საგანმანათლებლო პროგრამაზე; რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა - 37 საგანმანათლებლო პროგრამაზე; ხარვეზის გასწორება - 12 გადაწყვეტილება.

დიაგრამა N1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

აკრედიტაცია

დასრულებული წარმოებების ციფრებში

- ტექნიკური საკითხი (ხარვეზის გასწორება)
- რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში
- მონიტორინგი
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია



აკრედიტაციის საბჭოს სხდომა - 93

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი


უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ 39 გადაწყვეტილება მიიღო. მათ შორის: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ 16 გადაწყვეტილება, უარი აკრედიტაციის მინიჭებაზე 1 გადაწყვეტილება, მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ 16 გადაწყვეტილება; შერწყმა - 1, ხარვეზის გასწორება - 3; სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა - 2 გადაწყვეტილება.

დიაგრამა N2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია

ავტორიზაცია

დასრულებული წარმოებების ციფრებში

- სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ტექნიკური საკითხი (ხარვეზის გასწორება)
- უსდ-ების შერწყმა
- მონიტორინგი
- უსდ ავტორიზაცია



უსდ ავტორიზაციის საბჭოს სხდომა - 17

სააპელაციო საბჭომ მიიღო 6 გადაწყვეტილება: 5 გადაწყვეტილება ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აკრედიტაციის საბჭოსთვის უკან დაბრუნებას; 1 გადაწყვეტილება ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაზიარებას.

დიაგრამა N3. აპელაცია



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი ღონისძიებები (ტრენინგები, კონსულტაციები, სამუშაო შეხვედრები, სახელმძღვანელოები და სხვა)

დადგინდა თემები, რომლებშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ისურვებდნენ ცენტრის მიერ ტრენინგების შეთავაზებას.

ცენტრი ასევე ჩართულია ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ ორ საერთაშორისო პროექტში (PROFFORMANCE, SQUARE) რითაც მხარს უჭერს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარებისათვის ინსტრუმენტების შემუშავებას. PROFFORMANCE პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა აკადემიური პერსონალის წევრებისთვის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე. მასში აღნიშნულ თემაზე ცენტრმა ორგანიზაცია გაუწია პროექტით გათვალისწინებულ PLA-ს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა და ექსპერტებმა 10 ქვეყნიდან. SQUARE პროექტის ფარგლებში, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების „მესამე მისიის“ რელევანტურობისა და ხარისხის გაძლიერებას.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 საკონსულტაციო შეხვედრა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საერთაშორისო აკრედიტაციის, კვალიფიკაციის ჩარჩოსა და აკრედიტაციის საკითხებზე.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების განვითარება

2022 წლიდან ცენტრი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის სისტემაზე გადადის. აღნიშნული სისტემა ევროპის ბევრ ქვეყანაშია დანერგილი, ხოლო საქართველოში მისი დანერგვის რეკომენდაცია საერთაშორისო ექსპერტების მიერ ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ფარგლებში მომზადდა. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა კლასტერული აკრედიტაციის კონცეფცია და კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა. ევროკავშირის დაფინანსებული დაძმობილების პროექტის (TWINNING) მხარდაჭერით, ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსა (EKKA) და გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (AQAS) თანამშრომლობით, კლასტერული აკრედიტაციის პილოტირება სამ უნივერსიტეტში განხორციელდა: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პილოტირებაში ჩართულები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები გერმანიიდან, ესტონეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

პილოტირებისთვის რიგი ცვლილებები აკრედიტაციის დებულებაში, აკრედიტაციის სტანდარტებში, დაწესებულების თვითშეფასებისა და ექსპერტთა დასკვნის დოკუმენტში განხორციელდა. პილოტირების შედეგები დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარეს, რაც მნიშვნელოვანი გამოცდილებაა კლასტერული აკრედიტაციის პროცესის დანერგვისთვის.

კლასტერული აკრედიტაციის დანერგვის მიზნით, შემუშავდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების პროექტები. ცვლილებების თანახმად, 2022 წლიდან დაინერგება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაცია, ასევე, აკრედიტაცია სავალდებულო ხდება ყველა საფეხურისა და სახის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების დახვეწის მიზნით, ცენტრში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების ანალიზის კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა. კერძოდ, შემუშავდა თემატური ანალიზი სამედიცინო განათლების, მათ შორის კლინიკური სწავლების, ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს ცენტრისა და ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ერთობლივი კონფერენციის ფარგლებში გაუზიარეს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დანყებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის განახლება, რომელიც ითვალისწინებს თემატური კვლევის შედეგებს, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და სამედიცინო სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს.

შემუშავდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებზე, პროგრამის შინაარსზე, სასწავლო კომპონენტის მიზნებზე, დისერტაციის დაცვის პროცედურებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე.

ასევე, განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ცალკეული სტანდარტების სტრუქტურის ცვლილება. კერძოდ, სტანდარტის რიგი კომპონენტები გაერთიანდა სხვა სტანდარტის კომპონენტებთან. აღნიშნულმა მიდგომამ უზრუნველყო, შინაარსობრივი ნიშნით, კიდევ უფრო მსგავსი კომპონენტების გაერთიანება ერთი სტანდარტის ფარგლებში და ხელი შეუწყო აკრედიტაციის სხვადასხვა სტანდარტებში თანაბარი რაოდენობის კომპონენტების არსებობას. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სასწავლო ფორმატის ელექტრონულად წარმართვის პრაქტიკიდან გამომდინარე, შემუშავდა სპეციალური კრიტერიუმები, როგორ უზრუნველყოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ელექტრონულად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება. კერძოდ, ინსტიტუციას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ელექტრონულად განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებისთვის შესაბამისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის საგრანტო პროექტ განათლების ლაბორატორია (EDU LAB) თანამშრომლობით განხორციელდა კვლევა, რომელიც ემსახურება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრთა პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრას. კვლევა განხორციელდა ევროკავშირის დაფინანსებული Twinning-ის პროექტის ექსპერტების მიერ შემუშავებული თემატური ანალიზის მეთოდოლოგიით. კვლევის ფარგლებში დადგინდა უმაღლესი განათლების ექსპერტთა პროფესიული საჭიროებები და შემუშავდა რეკომენდაციები. კვლევაში ჩაერთო 300-ზე მეტი ექსპერტი, ცენტრის უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი და ავტორიზაციის/აკრედიტაციის საბჭოების წევრი. ასევე, ანალიზის დროს გაითვალისწინეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტთა საქმიანობის შეფასებები დასრულებული წარმობების ფარგლებში. კვლევაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, შეიქმნა ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, რომელმაც კვლევის შედეგების გამოყენებით მოამზადა პროფესიული გამოცდილების გაზიარების (PLA) სამი ღონისძიება. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასება/სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გარე შეფასება და ინტერნაციონალიზაციის შეფასება. ორგანიზების დროს, გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. აღნიშნულ აქტივობებში 200-ზე მეტი ექსპერტი მონაწილეობდა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარების მიზნით, გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები, კერძოდ, გამოცხადდა ჰუმანიტარული სფეროს ექსპერტების ატესტაცია, ასევე, ამავე სფეროს ექსპერტების მოძიების მიზნით, გამოცხადდა კონკურსი. ასევე, გამოცხადდა კონკურსი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების შესარჩევად.

ENQA რეკომენდაციები და ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაო

2021 წლის 19 აპრილს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა წარმატებით გაიარა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მონიტორინგის ჯგუფის შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა ცენტრის მიერ ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესრულება, რაც ცენტრის 2019 წლის გარე შეფასების ანგარიშში აისახა. შემოწმების დროს დეტალურად და სიღრმისეულად განიხილეს ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და ცენტრის დებულებებში ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ცენტრის მიმდინარე საქმიანობაზე, ასევე, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე, თემატური ანალიზის სისტემური მიდგომის დამკვიდრებაზე, დაინტერესებული მხარეების გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის თემაზე. მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, ENQA-ს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები ცენტრმა შეასრულა. ამასთან, საერთაშორისო ექსპერტების მიერ ასევე დადებითად შეფასდა ცენტრის სამომავლო ხედვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების კიდევ უფრო მეტად დახვეწასა და განვითარებასთან დაკავშირებით.

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლიდან DEQAR CONNECT პროექტში მონაწილეობის შედეგად, უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში შედგენილი დასკვნებისა და გადანყვეტილებები EQAR-ის ბაზაში (DEQAR) ავტომატური ასახვის სისტემა შემუშავდა. ელექტრონულ პორტალზე ატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს და უსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2021 მიღებული გადანყვეტილებები და ექსპერტების მიერ შემუშავებული დასკვნები. აღნიშნული ბაზა სინქრონიზებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრის (EQAR) ბაზასთან და ავტომატურად გზავნის მონაცემებს EQAR-ის ბაზაში (<https://www.eqar.eu/qa-results/search/by-institution/?query=&country=63>). სისტემის დემონსტრირება განხორციელდა EQAR-ის 2021 წლის 24 სექტემბრის ვებინარზე, სადაც სისტემა წარმოდგენილი იყო როგორც კარგი პრაქტიკა და ცენტრმა გააზიარა სისტემაში მუშაობის გამოცდილება და გამოწვევები.

საანგარიშო პერიოდში, ერაზმუს პლუსის პროექტის PROFFORMANCE ფარგლებში ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ექსპერტთა შორის გამოცდილების გაზიარების მეორე სამუშაო შეხვედრაში და ორგანიზება გაუწია მესამე შეხვედრას, რომელიც 2021 წლის 27 მაისს და 7 ივნისს ჩატარდა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

საანგარიშო პერიოდში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებულ 257 საქმისწარმოებას გაუწია ადმინისტრირება. მათ შორის პსდ-ს ავტორიზაცია - 6; უსდ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება - 4; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდა - 40; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება - 9; პროგრამის დამატება - 113. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება - 32; განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შემოწმების/მონიტორინგის 53 წარმოება;

პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების მიმართულებით განხორციელდა უფლების მოპოვების 37 და რეგისტრაციის 118 საქმისწარმოება. დადასტურდა - 98, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 20 პროგრამას, უფლების მოპოვების ნაწილში უფლება მოიპოვა 33 პროგრამამ, უარი ეთქვა 4-ს.


საანგარიშო პერიოდში ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 20 სხდომა, რომელზეც 279 გადაწყვეტილება მიიღეს; ჩატარდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 16 სხდომა, რომელზეც 58 საკითხი განიხილეს და 41 გადაწყვეტილება მიიღეს.

დიაგრამა N4: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

პსდ ავტორიზაციის საბჭოს სხდომა - 20


დასრულებული წარმოებები ციფრებში



დიაგრამა N5 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები

პროფესიული განათლების
ხარისხის უზრუნველყოფა -
მომზადება-გადამზადება
დასრულებული წარმოებების ციფრებში

- უფლების მოპოვება
- რეგისტრაცია



პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა - 16

მხარდამჭერი სახელმძღვანელოები, ადმინისტრაციული წარმოებისთვის საჭირო ფორმები

2021 წლის თებერვალ-აპრილის პერიოდში, ცენტრის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განხორციელდა მხარდამჭერი სერვისების მიწოდების ანალიზი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების ნაწილში. ანალიზის განსახორციელებლად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა სამი სამუშაო შეხვედრა, შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტებით უკუკავშირი მიიღო 73 დაწესებულების 85 რესპონდენტისგან. აქედან 35 დაწესებულება გრძელვადიან პროფესიულ პროგრამებთან ერთად პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებსაც სთავაზობს სტუდენტებს. გამოკითხული დაწესებულებებიდან, მხოლოდ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს ახორციელებს 6 დაწესებულება. რესპონდენტებს შორის იყო 6 პირი, რომლებიც არ ახორციელებენ პროფესიულ პროგრამას, მაგრამ ცენტრისგან 2020 წლის განმავლობაში მიიღეს კონსულტაცია. მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება საკონსულტაციო სერვისის გაუმჯობესებისათვის. 2021 წლის ივლისსა და დეკემბრის თვეში განხორციელდა დაწესებულებების კმაყოფილების კვლევა მიმდინარე წელს მიწოდებული აქტივობების შესახებ. მიღებული მონაცემები ცენტრმა გამოიყენა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელებისა და საკონსულტაციო სერვისის გაუმჯობესებისთვის.

2021 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში შემუშავდა 2020 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული და ცენტრში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის ექსპერტების მიერ შესწავლილი თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის დოკუმენტი, ანალიზის პირველადი ვერსიის პრეზენტაცია დაინტერესებული პირებისთვის ცენტრის საერთაშორისო კონფერენციაზე განხორციელდა. ანალიზი 2021 წლის თებერვალში დასრულდა და ასევე დაინტერესებულ მხარეებს გაეცნო. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, როგორც სისტემურ, ასევე ინსტიტუციურ დონეზე. ამასთან, აღსანიშნავია რომ მესამე კვარტალში მომზადდა ანალიზის დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, ასევე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების დადასტურების, ან/და უფლების მოპოვების სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ არსებული პრაქტიკის სანდოობისა და გამჭირვალობის ანალიზის მიზნით, დოკუმენტში ასევე ასახულია ამ პროცესებში კერძო სექტორის ჩართულობა.

ჩატარებული ტრენინგები, კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემურ დონეზე გამოვლენილი საჭიროებების განსახილველად და შესაძლებლობების გაძლიერებისა და ინფორმირების მიზნით, სამუშაო შეხვედრა დაწესებულებების 138 წარმომადგენელთან გაიმართა, სადაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანალიზი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესის სქემა და ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული ფორმების პროექტები განიხილეს.

შეხვედრებზე განხილულ იქნა თვითშეფასების ანალიზი, პროგრამის შეფასების პროცესის სქემა და ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული ფორმების პროექტები. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში კოლეჯებს მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ინტეგრირებული პროგრამების მხარდაჭერის პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხელშეკრულება გაუფორმდა 5 ექსპერტს, რომლებმაც ინდივიდუალურ დონეზე შეისწავლეს დაწესებულებების მიერ გამოგზავნილი ინტეგრირებული პროგრამები (სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA, სსიპ - კოლეჯი "აისი", სსიპ - კოლეჯი "იბერია", სსიპ - კოლეჯი "მერმისი", სსიპ - კოლეჯი "სპექტრი") და მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული აქტივობის შემდეგ დაწესებულებებმა ცენტრში ოფიციალურად წარადგინეს განაცხადები. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წერილის საფუძველზე (N230836 15/03/2021) ჩატარდა ტრენინგი - „შეფასების სისტემა და ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში“. 27 აპრილს ჩატარდა შეხვედრა სიმულაციურ მონიტორინგთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც 7 დაწესებულებას მიეცემა შესაძლებლობა ინდივიდუალურად მიიღოს მხარდაჭერა რეავტორიზაციის (2022 წელი) პროცესის წარმართვისათვის. ნოემბერ-დეკემბერში აღნიშნული დაწესებულებებისთვის ჩატარდა სიმულაციური საბჭოს სხდომები, სადაც ექსპერტებმა წარადგინეს დასკვნები და გაიცა

რეკომენდაციები. ასევე, კოლეჯებისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა მინისტრის 2 ივლისის №42/6 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის წესის შესახებ. 24 სექტემბერს ჩატარდა შეხვედრა სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევის მეთოდოლოგიისა და შედეგების ანალიზის თაობაზე.

ონლაინრეჟიმში, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით ვერძო და საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის ჩატარდა ტრენინგი - „შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში“. ტრენინგს 300-ზე მეტი მონაწილე დაესწრო. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ორდღიანი ტრენინგები ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის (ადამიანური რესურსები) გარშემო და მოიცავდა შემდეგ თემატიკას: ადამიანური რესურსების მართვის საკითხები, ავტორიზაციის სტანდარტი - ადამიანური რესურსების მართვა, რეკრუტირება, პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროფესიული განვითარება და შრომის კანონმდებლობა. ასევე, სამუშაო შეხვედრა მე-3 სტანდარტის ფარგლებში - კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება. დაწესებულებებისთვის ჩატარდა ტრენინგები საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ჰსდ ავტორიზაციის სტანდარტების შესაფასებლად მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებთან დაკავშირებით. ტრენინგში მონაწილეობდა 50 დაწესებულების 59 წარმომადგენელი. აგვისტო-სექტემბერში - ტრენინგებს „ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება“, დაესწრო 114 მსმენელი. ივნისის თვეში, ასევე, შემუშავდა მტკიცებულებების გზამკვლევი.

2021 წლის მარტში, დარგის სპეციალისტების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 70-მდე დარგის ექსპერტი. სექტემბერში სტანდარტების განმარტებებთან და მიმდინარე პრაქტიკასთან დაკავშირებულ სემინარს 54 დარგის ექსპერტი დაესწრო, ასევე, გაეროს განვითარების პროექტის მხარდაჭერით, ჩატარდა დარგის ექსპერტების ტრენინგები ჰსდ ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების განმარტებებთან დაკავშირებით, რომელსაც დარგის 65 ექსპერტი დაესწრო.

შემუშავდა თემატური ანალიზი საქართველოში პროფესიული განათლების სწავლის სფეროების შინაარსობრივი ცვლილებების და ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით.

პარალელურად, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებდა სამუშაო შეხვედრებს და კონსულტაციებს ავტორიზაციის და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებით დაინტერესებული პირებისთვის. 2021 წლის განმავლობაში, სამსახურმა 160-მდე კონსულტაცია და სამუშაო შეხვედრა განახორციელა. სამსახური ორგანიზებას უწევდა პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების სარეკომენდაციო ჩარჩოების მომზადების პროცესს შინმოვლის, ენერგოეფექტურობის და გიდის პროგრამებისთვის - სულ გაიმართა 9 შეხვედრა. შემუშავდა საბჭოების შეფასების მეთოდოლოგია და შეფასების ინსტრუმენტები, რომლის საშუალებით განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შეფასების პილოტირება, შეფასებაში მონაწილეობენ: საგანმანათლებლო დაწესებულებები, ექსპერტები და საბჭოს სამდივნო.

საანგარიშო პერიოდისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებების/იურიდიული პირების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა ტრენინგები, რომლებსაც ჯამში 200-ზე მეტი მონაწილე დაესწრო.

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/იურიდიულ პირებთან შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებლის უფლების მოპოვების საკითხებში ჩატარდა ტრენინგი, რომლის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმაზე, საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების ინფორმირების საკითხებზე, მსმენელების შერჩევის პროცედურებზე, შრომის ბაზრის ანალიზზე/კვლევაზე, ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა ასახვის გამოცდილების გაზიარებაზე, სერტიფიკატისა და მისი დანართის გაცემის საკითხების გამოცდილების გაზიარებაზე. ტრენინგს ესწრებოდა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 45 წარმომადგენელი.

2021 წლის 30 მარტს ჩატარდა საინფორმაციო სემინარი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების დადასტურების, ან/და უფლების მოპოვების საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ განიხილეს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტები, რომლის ფარგლებშიც გაიმართა დისკუსია სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების, მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის, პროგრამის სახელწოდების, უსაფრთხო სამუშაო გარემოს, შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ.

2021 წლის 17 თებერვალს, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობისთვის, რომლის ფარგლებშიც საბჭოს წევრებს პრეზენტაციის სახით მიაწოდეს ინფორმაცია ავტორიზაციის საბჭოს საქმიანობის შესახებ. ასევე, 16 აპრილს, მაისსა და ივნისში ჩატარდა ტრენინგები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. ტრენინგების ფარგლებში საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს ახალ წევრებს მისი საქმიანობის არსებული პრაქტიკა გაუზიარა. ასევე, ყურადღება გამახვილდა ავტორიზაციის საბჭოს უფლება-მოვალეობებისა და საბჭოს მანდატზე. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული საბჭოების საქმიანობის შეფასების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები, რომლის პილოტირებაც მიმდინარე წელს განხორციელდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) თანამშრომლები, რომლებმაც საკუთარი გამოცდილება ქართველ კოლეგებს გაუზიარეს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი

ცენტრში 2021 წელს ორ ეტაპად განხორციელდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირება. სერტიფიკატი 47 სპეციალისტმა მოიპოვა, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების ახალ კორპუსში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების კვლით არიან წარმოდგენილები. 2021 წელს ცენტრმა ექსპერტთა კორპუსი გააძლიერა დამატებით 29 დარგობრივი კომპეტენციის მქონე ექსპერტით, ვინც შეირჩა კონკურსის გზით. ამჟამად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსი შედგება 45 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტისა და 140 დარგის ექსპერტისგან.

2021 წელს შემუშავდა 2020 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა დატვირთვის ამსახველი ანალიტიკური დოკუმენტი. 2021 წელს ექსპერტთა კორპუსის წევრთა ადმინისტრაციულ წარმოებებში მონაწილეობის მაქსიმალურ და მინიმალურ დატვირთვას შორის სხვაობა შემცირებულია 2020 წელთან შედარებით, 2020 წელს ექსპერტთა ვიზიტების მაქსიმალურ რაოდენობად ფიქსირდება - 16, ხოლო მინიმალურ რაოდენობად - 1, 2021 წელს ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა არის -4, ხოლო მინიმალური რაოდენობა - 1". 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით კვლავ შენარჩუნებულია ექსპერტთა კორპუსის წევრთა მაქსიმალურ და მინიმალურ დატვირთვას შორის მინიმალურ სხვაობა რიგი გარემოებების გათვალისწინებით. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, 2021 წლის 21 დეკემბერს დისტანციურ რეჟიმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგ საკითხები: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების საქმიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესში განხორციელებული ცვლილებები; ექსპერტთა ინტერესთა კონფლიქტი; ექსპერტის მიერ ფუნქციების განხორციელების თაობაზე უარი; პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა მიერ შესრულებული დასკვნის პროექტების დახარვეზების შემთხვევების ანალიზი.

არაფორმალური განათლება

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის მიზნით კონკურსი, რომელიც 4 ეტაპს მოიცავდა: განაცხადის წარდგენა და გადარჩევა, ტესტირების შესრულება ელექტრონული ფორმით, ტრენინგის ჩატარება და დავალების შესრულება ელექტრონული ფორმით. კონკურსის ფარგლებში სულ შემოვიდა 837 განაცხადი, საიდანაც ტესტირების ეტაპზე 471 კანდიდატი დაუშვეს. ტესტირება წარმატებით

გაიარა 61-მა კანდიდატმა, ტრენინგის და დავალების შესრულების ეტაპების შემდეგ, კი არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირებული კონსულტანტის სტატუსი 42 პირს მიენიჭა. კონსულტანტების მონაცემები აისახა შესაბამის ელექტრონულ რეესტრში. 2021 წლის მონაცემებით,, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მოპოვებული აქვს ოთხ იურიდიულ პირს. არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი ხელმისაწვდომია 8 სფეროში: ბიზნესი და ადმინისტრირება,ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, პერსონალური მომსახურებები, ინჟინერია და საინჟინრო საქმე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები, განათლება, ჯანდაცვა, არქიტექტურა და მშენებლობა.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულმა სამუშაო ჯგუფმა შემუშავა პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომლის მიზანი იყო ერთიანი ხედვის შექმნა აღიარების პროცესის ობიექტურად/გამჭვირვალედ და ეფექტურად წარმართვისთვის, მათ შორის აღიარების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების განსაზღვრა, პროცედურები და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები. ასევე, პროფესიული განათლების ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესება, მათი ეფექტიანობის ზრდა, არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის უზრუნველყოფა. დოკუმენტის შემუშავებისას ჯგუფი დაეყრდნო მოქმედ რეგულაციებს: "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს, მთავრობის დადგენილებას და თანამედროვე ევროპულ მიდგომებს არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის დროს საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო ავტორიზაციის სტანდარტების და ინდიკატორების პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორების საშუალებით პროფესიული განათლების სისტემის ანალიზზე მუშაობა, ამასთანავე შესაბამისობის ანალიზის ჩატარება.

შემუშავდა EQAVET-ის ინდიკატორების შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასების მეთოდოლოგია და კვლევის ინსტრუმენტები. დოკუმენტის მიზანია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (EQAVET) ინდიკატორების საქართველოს რეალობაზე მორგება და განისაზღვრა მონაცემების მოძიების წყაროები და მეთოდები, ასევე შემუშავდა რეკომენდაციები EQAVET-ის ინდიკატორების შესაბამისად (ხუთი ინდიკატორის მიხედვით) ცენტრი განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასებას 2022 წელს.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა

2021 წელს შემუშავდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების ახალი კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებს. კონცეფცია პრეზენტაციის ფორმატში წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს, კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, კერძო სკოლების ასოციაციებს, საგანმანათლებლო რესურსცენტრებს, საჯარო სკოლების წარმომადგენლებს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრებს. კონცეფციაზე მუშაობის ფარგლებში განხორციელდა ავტორიზაციის პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის კვლევა, რომელიც აფასებდა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმებს, ასევე, დაგეგმილ ცვლილებებს. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისგან შემდგარ აუდიტორიასთან (საბჭოს წევრები, ექსპერტები, დაწესებულების წარმომადგენლები) და დადგინდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების მიმართულებით გასაუმჯობესებელი საკითხები.

კონცეფციის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები ეხება შემდეგს: 1. სკოლის ფილოსოფია; 2. სასკოლო კურიკულუმი; 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა; 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა. სტანდარტები „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებების ფარგლებში არის წარდგენილი. სტანდარტების შინაარსზე მუშაობა მიმდინარეობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და სტანდარტების შემუშავებელ სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად.

ამასთანავე, ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასების განვითარების ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის დამტკიცების საფუძველს წარმოადგენდა ზოგადი განათლების შესახებ კანონში ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებს 2026-27 სასწავლო წლის დაწყებამდე სამინისტროს მიერ საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაციის უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის გარე და შიდა მექანიზმების ამოქმედების მიზნით ინსტიტუციური თვითშეფასების შესაძლებლობების გაძლიერება. ქვეპროგრამის ფარგლებში შესაბამისი სპეციალისტების მიერ შემუშავდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების პროექტის, პროცედურების და მტკიცებულებების დეტალური გზამკვლევი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა სერტიფიცირების კონცეფცია. ჩამოყალიბდა სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტრენინგების პაკეტი მათი მომზადებისთვის და გამოცხადდა კონკურსი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა სერტიფიცირების მიზნით. ამასთანავე, შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ფორმა, თვითშეფასების

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

განხორციელების ბიზნეს-პროცესის აღწერა და დიაგნოსტიკური შეფასების პლატფორმა, მომზადდა თვითშეფასების ელექტრონული სისტემის ტექნიკური დავალება. აღნიშნული აქტივობები განხორციელდა დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციებით და საზოგადოების ინტენსიური ინფორმირების პირობებში.



2021 წელს მუშაობა მიმდინარეობდა ცვლილებების შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში განსახორციელებელ ცვლილებების პროექტებზე მუშაობა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსპერტთა ვიზიტები, ადმინისტრაციული წარმოებები

წლის განმავლობაში ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 9 სხდომა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 1 სხდომა. განხორციელდა შემდეგი ადმინისტრაციული წარმოებები: ავტორიზაცია - 8; მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა - 2; მონიტორინგი - 12; აკრედიტაცია - 1.

დიაგრამა 6. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა დასრულებული წარმოებების ციფრებში



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა - 9

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა - 1

შემუშავებული დოკუმენტები

მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის ახალი ფორმები. მომზადდა საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ხელშეკრულებებში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტები, რომლის შესაბამისადაც მხარეთა შეთანხმებით ცვლილებები განხორციელდა 2 ხელშეკრულებაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი

საანგარიშო პერიოდში შემუშავებული ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების კონცეფციის მიხედვით დაიგეგმა აკრედიტაციის პროცესის შერწყმა ავტორიზაციასთან და ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში პროგრამული შეფასების გაძლიერება. ცვლილებების განხორციელების შემდეგ, ექსპერტთა კორპუსი ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: ა) ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები; ბ) საგნობრივი ექსპერტები. პარალელურად მიმდინარეობს უშუალოდ ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობის კონცეფციაზე მუშაობა, რომელიც გაითვალისწინებს ფართო სპექტრის გამოცდილების მქონე ექსპერტების ჩართვას სკოლების შეფასების პროცესში განახლებული სტანდარტების შინაარსის შესაბამისად.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგი. ტრენინგის თემატიკა მოიცავდა ზოგად განათლებასთან დაკავშირებულ იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც გაითვალისწინებულია ცენტრის დირექტორის 2018 წლის 7 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ (შემდგომში - ექსპერტთა საქმიანობის წესი) განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაცია, რომლის ფარგლებშიც შეფასდა არსებული ექსპერტთა კორპუსის 22 წევრის შესაბამისობა ექსპერტთა საქმიანობის წესით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ატესტაცია მოიცავდა რეგისტრაციას, თეორიულ გამოკითხვასა (ტესტირება) და გასაუბრებას.

ჩატარებული სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები

კონცეფციის გაცნობის მიზნით გაიმართა შეხვედრები 2085 საჯარო სკოლასთან, 224 კერძო სკოლასთან, 69 საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ავტორიზაციის საბჭოსა და ექსპერტთა კორპუსთან.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის.

შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ტრენინგები/საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის, ხოლო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის 80-მდე საკონსულტაციო შეხვედრა. ასევე, შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით მექანილი სამუშაო ჯგუფის 5 შეხვედრა.

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა

საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან (შემდგომში - პროგრამა) მიმართებით, სამუშაო ჯგუფის მიერ, დაძმობილების პროექტის (TWINNING)-ის მხარდაჭერით მომზადდა თემატური ანალიზი - „საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საქართველოში აღიარებასთან დაკავშირებული არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“.

ეროვნული კვალიფიკაციების განვითარება

პროფესიული და უმაღლესი დარგობრივი საბჭოების ადმინისტრირება

შეიქმნა 8 მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო (ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ენის დაუფლება, ქართული ფილოლოგია, მშენებლობის ინჟინერია, სოციალური მუშაობა, სპეციალური განათლება (მასწავლებლის განათლება) და 2 სამუშაო ჯგუფი (ჯანდაცვისა და ლექსიკოგრაფიის მიმართულებით). მუშაობას აგრძელებს 1 უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო (ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებებით);

კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად, განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით, შემუშავდა და დამტკიცდა 5 მიმართულების (ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ენის დაუფლება, ქართული ფილოლოგია) დარგობრივი მახასიათებელი;

დამტკიცდა შენობების სისტემების ინჟინერიის, ტურიზმის, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებისა, ბიზნესი და ადმინისტრირებისა და სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები;

სულ ჩატარებულია უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების 86 სხდომა; დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები გამოქვეყნებულია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://eqe.ge/ka/page/static/946/umaghlesi-ganatilebis-kvalifikaciebis-ganvitareba>.

პარალელურად, ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურმა მოამზადა „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის“ და „განათლებისა და ტრენინგის სფეროების დეტალური აღწერის“ დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად დეტალური სწავლის სფეროს ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ასევე მოიცავს ანალიზს ეროვნულ დონეზე. ანალიზის დოკუმენტში განხილულია შემდეგი დეტალური სფეროები: რელიგია და თეოლოგია, ისტორია და არქეოლოგია, ფილოსოფია და ეთიკა, ენის დაუფლება, ლიტერატურა და ლინგვისტიკა. ასევე, გაანალიზდა კლასტერული აკრედიტაციის მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილება, მათ შორის ცალკეული ქვეყნების მიდგომები, „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის“ და „განათლებისა და ტრენინგის სფეროების დეტალური აღწერის“ დოკუმენტები, ადგილობრივი სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, ანალიზი ეროვნულ დონეზე განხორციელდა.

პროფესიული ჩარჩო დოკუმენტების ცვლილებები

ცვლილებები შევიდა და დამტკიცდა 21 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, მათ შორის, მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებები განხორციელდა 8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში (საფინანსო სერვისები, საექთნო განათლება, საოფისე საქმისა და ღონისძიებების ორგანიზება, ელექტრობა,

რკინიგზის ოპერირება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი, ფარმაცია (სააფთიაქო). ცვლილება შევიდა „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულებში. სულ ჩატარებულია პროფესიული დარგობრივი საბჭოების 21 სხდომა; დამტკიცდა „სამოქალაქო განათლებისა“ განახლებული მოდულის აღნიშნული მოდული 2022 წლის 1-ლ ივნისამდე სრულად ჩაანაცვლებს ამჟამად პროფესიული განათლების სისტემაში მოქმედ სამოქალაქო განათლების ზოგად მოდულს. გარდა ამისა, ბრიტანეთის საბჭოს პროგრამის „Crafting Futures“ ფარგლებში, პლიმუთის ხელოვნების კოლეჯის წარმომადგენლების ჩართულობით შემუშავდა და დამტკიცდა მოდული „შემოქმედებითი აზროვნება“, რომელიც ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებში კრეატიული აზროვნების განვითარებას და პრობლემების გადაჭრის ინოვაციური გზების ძიებას.

ამასთან, 13 ჩარჩო დოკუმენტში განისაზღვრა სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელებისა და შეფასების შესაძლებლობები.

2021 წლის 29 აპრილს დაფუძნდა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირება-განვითარებაზე. შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აღარ იქნება უფლებამოსილი შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები და შექმნას მათი შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნულიდან გამომდინარე ცენტრის დებულების, კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის შიდა დებულების, ცენტრის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმაში შევიდა ცვლილებები და ამოღებულ იქნა ის ფუნქციები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები (ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიის ამოცანა 5.3 და ცენტრის სტრატეგიის დანერგვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის ამოცანა 5.3-ის ყველა აქტივობა), რომლებიც პროფესიული უნარების სააგენტოს ფუნქციებში გადავიდა.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა და მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში დაძმობილების პროექტის Twinning-ის პროექტის ექსპერტების ფართო ჩართულობით შემუშავდა და ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი“, რომელმაც განსაზღვრა მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში დარგობრივი სამინისტროების, დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების, სტუდენტების, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლობითობის საკითხი. ამავე წესის შესაბამისად, შეიქმნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით მრჩეველთა საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. ამასთან, საბჭოს წევრებს, შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, მიმდინარე წლის მაისში ჩატარდა სამდღიანი საინფორმაციო სემინარი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ექსპერტები. ასევე გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც საბჭოს წევრებთან შეთანხმდა კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმა და „ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის ანალიზის“ დოკუმენტი.

შემუშავებული დოკუმენტები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ" ევროსაბჭოს 2017 წლის 22 მაისის რეკომენდაციის შესამე დაწარმით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის თავსებადობის დადგენის მიზნით ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ ცენტრში განხორციელდა ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის ანალიზი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეები და სამუშაო პროცესი წარიმართა ქვეჯგუფებად მუშაობის ფორმატში. სამუშაო ჯგუფმა დადგენილ ვადებში დაასრულა მუშაობა ანალიზის დოკუმენტზე, რომელიც განხილულ იქნა მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე. მრჩეველთა საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებულ იქნა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დოკუმენტი წარედგინა ცენტრის დირექტორს. ცენტრის დირექტორის რეზოლუციით, ანალიზის დოკუმენტი გამოქვეყნდა ცენტრის ვებგვერდზე (<https://bit.ly/3s6eLpl>).

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების (ECVET) მინიჭების მეთოდოლოგია; გადამუშავდა და ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი“.

ამასთან, დაძმობილების პროექტის (Twinning) პროექტის ფარგლებში შემუშავდა თემატური ანალიზი: „საქართველოში პროფესიული განათლების სწავლის სფეროების შინაარსობრივი ცვლილებები და ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მათი შესაბამისობა“. განხორციელდა შემუშავებული დოკუმენტის პრეზენტაცია Twinning-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე. კლასტერული აკრედიტაციის გეგმის შესაბამისად, საერთაშორისო ტრილში მომზადდა დეტალური სწავლის სფეროს ანალიზი.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურმა ჩაატარა ანალიზი და შეიმუშავა რეფერენსირების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ასახავს რეფერენსირების დანყებისთვის განსახორციელებელ წინამოსამზადებელ სამუშაოებს, მეორე ნაწილში აღწერილია უშუალოდ რეფერენსირების პროცესში განსახორციელებელი აქტივობები, ხოლო მესამე ნაწილში მოცემულია რეფერენსირების პროცესის გავლის შემდგომ შესასრულებელი ვალდებულებები. თითოეულ შესასრულებელ აქტივობას თან ახლავს რეფერენსირების შესაბამისი კრიტერიუმი. სამოქმედო გეგმა მომზადებულია "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQE_LLL) შესახებ

ევროსაბჭოს 2017 წლის 22 მაისის რეკომენდაციის მე-3 დანართით განსაზღვრული რეფერენსირების 10 კრიტერიუმის შესაბამისად. ცენტრის 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია გეგმის პროექტზე მუშაობის გაგრძელება და მისი შეთანხმება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილ მრჩეველთა საბჭოსთან.

ცენტრის ხელმძღვანელობისთვის მომზადდა პრეზენტაცია ევროპული პროექტის მიკროკრედიტების (MICROBOL) შესახებ. განისაზღვრა შემდგომი ნაბიჯები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან აღნიშნულ თემაზე კომუნიკაციისთვის. ცენტრის 2021 წლის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე ფლამანდრიის (ბელგია) მთავრობის განათლებისა და ტრენინგის სამინისტროს მრჩეველმა უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებში წარადგინა მოხსენება „MICROBOL: მიკროკრედიტები და მათი კავშირი ბოლონის პროცესის ძირითად ვალდებულებებთან ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ქვეყნებში“ და კონფერენციაზე დამსწრე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მიანოდა ინფორმაცია მიკროკრედიტების, ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და ამ მიმართულებით ევროპული გამოცდილების შესახებ. ამავე კონფერენციაზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მოხსენება „სასერთიფიკატო და მოკლევადიანი სასწავლო კურსები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები“, რომელშიც ისაუბრეს მათი დაწესებულებების გამოცდილებაზე და განიხილეს სასერთიფიკატო და მოკლევადიანი კურსების მიმართულებით შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. ამის შემდეგ, კვალიფიკაციების განვითარების სამსახურმა დაიწყო მუშაობა უსდ-ების გამოკითხვის საკითხზე. მიმდინარე წლის 6 სექტემბერს სამსახურმა ნახევრად სტრუქტურირებული ელექტრონული კითხვარი დაუგზავნა საქართველოში ავტორიზებულ 64 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, განათლების სივრცეში მიკროკრედიტების სისტემის არსებული პრაქტიკის შესახებ უკუკავშირის მიღების მიზნით. ელექტრონულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 42%-მა, ჯამში სულ 27-მა დაწესებულებამ. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მომზადდა ანგარიში

ცვლილება შევიდა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებაში, რომლის საფუძველზეც სწავლის სფეროების კლასიფიკატორს დაემატა ახალი სწავლის სფერო „შენობის სისტემების ინჟინერია/Building Systems Engineering“.

სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები

უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლების პროექტების განხილვის მიზნით მოცემულ პერიოდში 7 საჯარო განხილვა გაიმართა. ასევე, გაიმართა 18 საჯარო განხილვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ჩარჩო დოკუმენტების/მოდულების ცვლილებასთან დაკავშირებით. დაინტერესებული მხარეებისათვის დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით 5 პრეზენტაცია ჩატარდა. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, ახალი კვალიფიკაციების (უმაღლესი/პროფესიული) ფორმირება-განვითარების მიმართულებით დაინტერესებული პირებს გაეწიათ კონსულტაციები.

სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობა

მიმდინარე წელს ჩატარდა კვლევა თემაზე: „საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე მორგებული მხარდამჭერი სერვისების იდენტიფიცირება“. კვლევის პროცესში, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, გამოიკითხა 51 უმაღლესი და 72 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება, რითაც შესაძლებელი გახდა აღნიშნული დაწესებულებების ძირითადი საჭიროებებისა და მათზე მორგებული მხარდამჭერი სერვისების იდენტიფიცირება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის განისაზღვრა საკონსულტაციო დღე. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შემუშავდა ჩარჩო დოკუმენტებსა და მოდულებში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების შესახებ ცენტრის ინფორმირების ფორმა. კვლევის შედეგების შესახებ მომზადდა ანგარიში, მიგნებები ცენტრის თანამშრომლებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუზიარეს; დოკუმენტი ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა.

თებერვალში, ივნისსა და სექტემბერში განხორციელდა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამონება - შემონება 50-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 500-ზე მეტი ანკეტა-კითხვარი.

შეიქმნა პროფესიული სტანდარტების ბაზა და განისაზღვრა მათი გადაამუშავების ვადები. შეიქმნა ჩარჩო დოკუმენტების ბაზა მათი დამტკიცების/ცვლილების თარიღების მითითებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც 4 სამუშაო შეხვედრა ჩატარდა.

მიმდინარე წელს დაიწყო მუშაობა სახელოვნებო განათლების სფეროში არსებული მიმართულებების ფორმალიზაციასთან დაკავშირებით. შესაბამისი კონცეფციის შემუშავების მიზნით შეიქმნა სახელოვნებო განათლების მიმართულების სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც გაიმართა 2 სამუშაო შეხვედრა. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

კვალიფიკაციების საკითხი გავიდა ცენტრის უფლებამოსილებიდან, აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

ამასთან, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e-vet.emis.ge) აისახა ჩარჩო დოკუმენტებში განხორციელებული ყველა ცვლილება .

საანგარიშო პერიოდში ცენტრი მუშაობდა და ამ ეტაპზეც განაგრძობს მუშაობას ბოლონის პროცესის იმპლემენტაციის ჯგუფის (BICG) ხარისხის უზრუნველყოფის თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG on QA) ფარგლებში ინიცირებულ პროექტში - Microbol project, რომელიც ისეთი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება, როგორებიცაა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), აკადემიური მობილობისა და შესაბამისობის საინფორმაციო ცენტრი (CIMEA), ფლამანდრიის (ბელგია) განათლებისა და მომზადების სამინისტრო და ფინეთის განათლების და კულტურის სამინისტრო.

აღსანიშნავია, რომ ცენტრის 2021 წლის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე ფლამანდრიის (ბელგია) მთავრობის განათლებისა და ტრენინგის სამინისტროს მრჩეველმა უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებში წარადგინა მოხსენება - „MICROBOL: მიკროკრედიტები და მათი კავშირი ბოლონის პროცესის ძირითად ვალდებულებებთან ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ქვეყნებში“ და კონფერენციაზე დამსწრე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მიაწოდა ინფორმაცია მიკროკრედიტების, ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და ამ მიმართულებით ევროპული გამოცდილების შესახებ. ამავე კონფერენციაზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მოხსენება - „სასერთიფიკატო და მოკლევადიანი სასწავლო კურსები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები“, რომელშიც ისაუბრეს მათი დაწესებულებების გამოცდილებაზე და განიხილეს სასერთიფიკატო და მოკლევადიანი კურსების მიმართულებით შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. სამსახურმა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უზრუნველყო ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდება მიკროკრედიტების გამოყენების (MICROBOL) არსებული საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ, ასევე განახორციელა ელექტრონული კვლევა ამ მიმართულებით საქართველოში მოქმედი პრაქტიკის შესახებ.

დიაგრამა N7: ეროვნული კვალიფიკაციების განვითარება



სერვისების განვითარება

საგანმანათლებლო სერვისების განვითარება


2021 წელს ცენტრში საგანმანათლებლო სერვისების შინაარსობრივად და პროცედურულად გამართვისა და დახვეწის მიზნით შემუშავდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს შემდეგ საკითხებს:

- ნამდვილობის დადასტურების პროცესში კვალიფიკაციების განვითარება;
- საქართველოში მიღებული განათლების (ოკუპირებული და ლიცენზირებული) აღიარების პროცედურა;
- დიპლომის გაცემის დაჩქარებული სერვისი;

კონცეფციების შემუშავების ფარგლებში გაანალიზდა არსებული პრაქტიკა და გამოწვევები, შემუშავდა გადაჭრის გზები.

ამასთანავე, სრული დატვირთვით მიმდინარეობდა ცენტრის მიერ სერვისების განხორციელება.

დიაგრამა N8. საგანმანათლებლო სერვისები



პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაცია

ჩატარდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს ერთი სხდომა. გადანყვეტილებები გაიგზავნა საჯარო სამსახურის ბიუროში და პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებთან, ასევე გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე. პროგრამის განხორციელების მსურველ დაწესებულებებთან ჩატარდა 5 საკონსულტაციო შეხვედრა.

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების გამჭვირვალობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ არსებული პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი UNDP-ის მხარდაჭერით და საჯარო სამსახურის ბიუროს ჩართულობით, დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. არსებულ სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებით ჩატარებულია 9 სამუშაო შეხვედრა/ჩალრმავებული ინტერვიუ შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: აკრედიტებული პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, ექსპერტთა კორპუსის წევრები, აკრედიტაციის საბჭოს წევრები და ელექტრონული პლატფორმის კონცეფციის შემუშავებელი ჯგუფის წარმომადგენლებთან. პროგრამების არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმთან მიმართებით გრძელდება კვლევის პროცესი. ამ ეტაპზე წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით/მეთოდით პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით კვლევის სამუშაო დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია ის საკითხები, რომლებიც შესაძლოა დამატებით აისახოს არსებულ სტანდარტებში. კვლევის საბოლოო პროდუქტის წარმოდგენის შემდეგ მოხდება მისი განხილვა ცენტრის და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, შემდგომი რეაგირების მიზნით (შესაძლო ცვლილებები - აკრედიტაციის დებულებაში).

ამასთან, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების 2019-20 წლების რეიტინგებისა და გადამზადებული საჯარო მოხელეების შეფასების ანალიზი. აღნიშნული აქტივობა ხორციელდება საჯარო სამსახურის ბიუროს ჩართულობით, UNDP-ის მხარდაჭერით, დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ. კვლევა გრძელდება, გადამზადებული საჯარო მოხელეების სიმრავლიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მიმდინარეობს რაოდენობრივი კვლევის მონაცემების დამუშავება. კვლევის საბოლოო პროდუქტის წარმოდგენის შემდეგ მოხდება მისი განხილვა ცენტრის და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, შემდგომი რეაგირების მიზნით.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს განახლებული შემადგენლობა და დაგეგმილია მათთვის ტრენინგების ჩატარება აკრედიტაციის სტანდარტებთან, პროცედურებთან და საბჭოს საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებით.

ინტერნაციონალიზაცია

საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ცენტრი აქტიურად იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, ამისთვის იგი ინარჩუნებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო და ევროპული ქსელების წევრობას და აფართოვებს თანამშრომლობას ხარისხის უზრუნველყოფის სხვა სააგენტოებთან. ცენტრში დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა სამაგიდო კვლევის ფარგლებში შეისწავლა და მომავალი თანამშრომლობის რეკომენდაციები შეიმუშავა კონკრეტული ქვეყნების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან დაკავშირებით. ამ პროცესში გათვალისწინებულია ცენტრის სტრატეგიული მიზანი საერთაშორისო სერვისების და კერძოდ, სამედიცინო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის განხორციელებასთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია “ცენტრის როგორც საერთაშორისო სერვისების პროვაიდერის შესაძლებლობების შეფასება: ძლიერი მხარეები და გამოწვევები” ანალიზის დოკუმენტი და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტის TWINNING-ის ფარგლებში განხორციელებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში განსაზღვრული საერთაშორისო შეფასებების პრიორიტეტები. ანალიზის ფარგლებში დადგინდა 10 ქვეყნის 11 ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო.

WFME

შემუშავდა თემატური ანალიზი სამედიცინო განათლების, მათ შორის კლინიკური სწავლების, ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. სამუშაოს პირველ ეტაპზე შეიქმნა კვლევის სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გაიწერა სხვადასხვა აქტივობების ვადები. სამუშაო ჯგუფმა თავდაპირველად ცენტრში არსებული სააკრედიტაციო განაცხადებიდან ამოკრიბა და გააანალიზა რაოდენობრივი მონაცემები, ასევე მემორანდუმები კლინიკებსა და უნივერსიტეტებს შორის. ამის შემდეგ, შეიქმნა საკოორდინაციო რუკა WFME-სა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის. შედეგად, აღნიშნული რუკის მიხედვით განხორციელდა 2019-2020 წლების დასკვნების ანალიზი. დამატებით EMIS-დან გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია. საბოლოო ეტაპზე დარგის ექსპერტებთან ჩატარდა ორი ფოკუსჯგუფი. პროექტი გაზიარდა ცენტრში და TWINNING-ის პროექტის საერთაშორისო ექსპერტებთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან. მიღებული უკუკავშირის მიხედვით მოხდა ანალიზის რედაქტირება. ანალიზის საბოლოო ვარიანტი გამოქვეყნდა ცენტრის საიტზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.³

³ https://eqe.ge/res/docs/2020/TA_NCEQE_MEDICINE_GEO_2021.pdf;
https://eqe.ge/res/docs/2020/TA_NCEQE_MEDICINE_ENG_2021.pdf

დაწყებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის განახლება, რომელიც ითვალისწინებს თემატური კვლევის შედეგებს, WFME-ისა და სამედიცინო სფეროს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციებს.

ENQA

2020 წლის 19 აპრილს ჩატარდა ENQA-ს ექსპერტების მონიტორინგის ონლაინ ვიზიტი და შეფასდა ცენტრის მიერ განხორციელებული სამუშაო შედეგები ENQA-ს რეკომენდაციებთან მიმართებით. შეხვედრაზე ცენტრის თანამშრომლებმა წარადგინეს ცენტრის თვითშეფასების ანგარიში, ცენტრის მიერ მიღწეული შედეგები და მომავალი განვითარების ხედვები. კერძოდ, შეხვედრის დროს დეტალურად და სიღრმისეულად განიხილეს ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და ცენტრის დებულებებში ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ცენტრის მიმდინარე საქმიანობაზე, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობაზე ცენტრის მმართველობის სისტემაში. ENQA-ს ექსპერტების შეფასებით, ENQA-ს ექსპერტების ჯგუფის 2019 წლის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები ცენტრის მიერ შესრულებულია. საერთაშორისო ექსპერტების მიერ ასევე დადებითად შეფასდა ცენტრის სამომავლო ხედვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და ცენტრის ინსტიტუციური განვითარების საკითხებთან მიმართებით. 2019-2020 წლებში ცენტრმა მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარა ENQA-ს რეკომენდაციების შესრულების კუთხით. ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, სამუშაო პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანელი და ესტონელი ექსპერტები, რომლებიც აღნიშნულ პროცესში ევროკავშირის დაძმობილების პროექტის Twinning-ის მონვევით ჩაერთვნენ.

BFUG

ცენტრი აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფებთან. საქართველო შეირჩა ბოლონიის პროცესის სამეთვალყურეო ჯგუფის კვალიფიკაციების განვითარების სამუშაო ჯგუფის (TPG A on QF) თანათავმჯდომარე ქვეყნად. კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG A on QF) თანათავმჯდომარეობა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ბოლონიის პროცესის სამუშაო სტრუქტურებთან თანამშრომლობის კუთხით. საქართველო თანათავმჯდომარის სტატუსით მონაწილეობას მიიღებს ბოლონიის პროცესის ძირითადი ვალდებულებების ჭრილში კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამ საკითხის მნიშვნელობაზე ყურადღება 2020 წლის რომის კომუნიკეშია გამახვილებული.

7 ივნისს, ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის (BICG) კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების თემატური საექსპერტო ჯგუფის (TPG A on QF) პირველი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრას საქართველოსთან ერთად, ავსტრიის და ლატვიის წარმომადგენლები თანათავმჯდომარეობდნენ. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზება და ადმინისტრირება თანათავმჯდომარე ქვეყნებს შორის საქართველოს მხარეს სთხოვეს. შესაბამისად, შეხვედრის

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ორგანიზება და წარმართვა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყო. შეხვედრაში თემატური საექსპერტო ჯგუფის 31 ქვეყნის წარმომადგენელი და ბოლონიის პროცესში საკონსულტაციო ფუნქციის მქონე ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სადაც მიმოიხილეს 2018-2020 წლებში თემატური საექსპერტო ჯგუფის საქმიანობა და 2021-2024 წლების სამომავლო ხედვები. ჯგუფის ფარგლებში გამოცდილების გაზიარების და ეროვნული კვალიფიკაციების განვითარების პროცესში ჯგუფის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთდახმარება ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა.

ცენტრი წევრის სტატუსით, ასევე თანამშრომლობს ლისაბონის კონვენციის აღიარების (TPG B on RLC) და ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფებთან (TBG C on QA) და სხვა სამუშაო ჯგუფებთან.

CEENQA

საანგარიშო პერიოდში, ცენტრის თანამშრომლებმა ქსელის წევრებს გააცნეს ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგია და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების კუთხით დაგეგმილი ღონისძიებები. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები, განსაკუთრებით დაინტერესდნენ კლასტერული აკრედიტაციის სისტემის დანერგვის საკითხით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა სტატია კლასტერული აკრედიტაციის პილოტირების შესახებ, რომელიც ქსელის რეგულარულ ელექტრონულ ჟურნალში დაიბეჭდა. ამ გზით ცენტრმა, ქსელის წევრებს გაუზიარა კლასტერული აკრედიტაციის პილოტირების შედეგები.

Twinning

დასრულდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდამჭერი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“ (TWINNING). დაძმობილების პროექტი 2019 წლის ივლისში დაიწყო და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ, ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (EKKA) თანამშრომლობის გზით განხორციელდა.

15 ივნისს ჩატარდა კონფერენცია, სადაც დაინტერესებულ მხარეებს კლასტერული აკრედიტაციის პილოტირების შედეგები გაუზიარეს და ასევე, პროექტის ფარგლებში ჩატარებული თემატური ანალიზების შედეგების წარუდგინეს. 16 ივნისს კი პროექტის დახურვა ონლაინრეჟიმში გაიმართა. მომხსენებლებმა პროექტის 24-თვიანი მუშაობის შედეგები წარადგინეს და მათ მდგრადობასა და სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს.

პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტების მონაწილეობით 120 მისია განხორციელდა, რაც მიზნად ისახავდა ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობას „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლასთან“ (LLL) მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის, გამჭვირვალობის, უნარებისა და კვალიფიკაციების მართვის გზით. პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ექსპერტებმა დახმარება გაუწიეს ქართველ კოლეგებს ცენტრის პოლიტიკისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხებში, ევროკავშირის განათლების სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და საქართველოს ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

პროექტები

ცენტრი აქტიურადაა ჩართული ბოლონის პროცესის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის (TBG C on QA) პროექტებში MICROBOI, EuNIQ და Staff mobility. აღნიშნული პროექტების ფარგლებში, ცენტრის თანამშრომლები ეცნობიან საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის პოლიტიკის პრიორიტეტებს.

ERASMUS +

ცენტრის პროექტის პარტნიორის და აფილირებული წევრის სტატუსით ჩართულია ERASMUS + რამდენიმე პროექტში, მათ შორის, PROFFORMANCE - შეფასების ინსტრუმენტი და წახალისების სისტემები აკადემიური პერსონალის საქმიანობის განვითარებისათვის უმაღლეს განათლებაში. SQUARE - მესამე მისიის ხარისხის და აქტუალობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში და RURD - უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში.

2021 წლის 4-8 ივლისს ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს SQUARE პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრასა და ტრენინგში, ქ. ბათუმში, სადაც პროექტის პარტნიორებმა განიხილეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების "მესამე მისიის" მიმდინარე და სამომავლო აქტივობები და ამ აქტივობების იდენტიფიცირების პროცესში ერთგვაროვანი მიდგომების უზრუნველყოფის საკითხები, ასევე სინერგიების შესაძლებლობები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების "მესამე მისიის" შემდგომი განვითარებისთვის. შეხვედრის ფარგლებში ასევე განიხილეს პროექტის მართვის, მათ შორის ფინანსური ანგარიშგებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები და პროექტით გათვალისწინებული შემდგომი ნაბიჯები.

პროექტ RURD ფარგლებში, 2021 წლის 9 ივლისს ცენტრის წარმომადგენელი ესწრებოდა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების რექტორების კონფერენციის დაფუძნებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც ქალაქ ქუთაისში გაიმართა. კონფერენციის დაფუძნების შესახებ მემორანდუმს საქართველოს რეგიონის 11 უნივერსიტეტი შეუერთდა. კონფერენცია არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც აერთიანებს საქართველოს რეგიონალურ უნივერსიტეტებს, დაკავებულია რეგიონული უნივერსიტეტების პრობლემებით, იხილავს

რეგიონის პრობლემურ საკითხებს და წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და შესაბამის სტრუქტურებს. მემორანდუმი საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების მჭიდრო თანამშრომლობის იდეას ეფუძნება. კონფერენცია არის პლატფორმა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობისთვის, საქართველოს რეგიონებში არსებული პრობლემების გამოვლენისა და შესწავლის მიმართულებით. შეხვედრაზე დაიგეგმა რექტორების რეგიონული კონფერენციის ერთობლივი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება. ამასთან, განათლებისა და სამეცნიერო სფეროებში მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტები მუდმივად განავითარებენ კონტაქტებს და გამართავენ კონსულტაციებს.

DEQAR CONNECT

მუშაობა დასრულდა ცენტრის განახლებულ ვებგვერდზე (<https://eqe.ge/ka/deqars>) ინტეგრირებულ სისტემაზე, სადაც 2021 წლის 15 თებერვლიდან იტვირთება უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის ფარგლებში (ავტორიზაცია და აკრედიტაცია) შედგენილი დასკვნები და საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნული ბაზა სინქრონიზებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრის (EQAR) ბაზასთან და ავტომატურად გზავნის მონაცემებს. აღნიშნული ვებგვერდის საშუალებით EQAR ბაზაში (<https://www.eqar.eu/qa-results/search/by-institution/?query=&country=63;>) უკვე გაგზავნილია აკრედიტაციისა და უსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს 95 გადაწყვეტილება და წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნები. სისტემის დემონსტრირება EQAR-ის 2021 წლის 24 სექტემბრის ვებინარზე განხორციელდა, სადაც სისტემა წარმოდგენილი იყო როგორც კარგი პრაქტიკა და ცენტრის მხრიდან გაზიარებულია სისტემაში მუშაობის გამოცდილება და გამოწვევები.

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა

ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობით, ცენტრი პასუხობს როგორც ბოლონიის პროცესის, ასევე ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით ევროპული თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ შემუშავდა ცენტრის საერთაშორისო სერვისების განვითარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. დოკუმენტების განხილვა ჩატარდა დაძმობილების პროექტის ფარგლებში ესტონელ და გერმანელ ექსპერტებთან ერთად. წლის ბოლომდე გადაიხედება მარეგულირებელი დოკუმენტები და დაიგეგმება ცენტრის პერსონალის გაძლიერების ღონისძიებები. კონცეფციის ძირითადი ასპექტების გათვალისწინებით შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების დარუქების მეთოდოლოგია. წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, შემუშავდა

რეკომენდაციები კონკრეტული ქვეყნების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობის შესახებ.

AQAS

30 ივნისს ცენტრსა და გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (AQAS) სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (AQAS) მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოა, რომელიც უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასებას ახორციელებს როგორც გერმანიაში, ასევე საზღვარგარეთ. გერმანიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (AQAS) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სრულუფლებიანი წევრია და რეგისტრირებულია უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR). სააგენტო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო ქსელის (INQAAHE) წევრაცაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააგენტო აკრედიტაციის ევროპული კონსორციუმის (ECA) ერთ-ერთი თანადამფუძნებელია.

თანამშრომლობის მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობა, ინფორმაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში, მხარეებს შორის მოხდება მეთოდოლოგიური და საკონსულტაციო, ორგანიზაციული და მხარდამჭერი ღონისძიებების, მათ შორის, პერსონალის მობილობის განხორციელება.

სააგენტოს წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის საგრანტო პროექტ განათლების ლაბორატორია (EDU LAB) თანამშრომლობით განხორციელებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრთა პროფესიული განვითარების საჭიროებების PLA ღონისძიებებში.

EKKA

თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლებმა გამოცდილება გაუზიარეს ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგების წარმატებით განხორციელებაში.

ცენტრი მოხსენებით წარდგა მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებში, მათ შორის ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) ორგანიზებული კონფერენცია და თურქეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ორგანიზებული ხარისხის უზრუნველყოფის კონგრესი (ITEAC).

EKKA-ს წარმომადგენლები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის საგრანტო პროექტ განათლების ლაბორატორია (EDU LAB) თანამშრომლობით განხორციელებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრთა პროფესიული განვითარების საჭიროებების PLA ღონისძიებებში.

2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებელი აქტივობების ანალიზი

2020 წელს, სამსახურების მიერ სამოქმედო გეგმაში განწერილი რიგი აქტივობების შესრულება ვერ მოხერხდა და მათი ნაწილის შესრულებამ 2021 წელს გადმოინაცვლა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია, ცენტრის დირექტორს სტრუქტურულმა ერთეულებმა 2020 წლის ბოლოს წარუდგინეს. 2021 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში მათი ნაწილი სრულად შესრულდა, ნაწილზე კი მიმდინარეობს მუშაობა.

კერძოდ, ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამსახურის მიერ დასრულდა მუშაობა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტზე. დოკუმენტი სტრუქტურულმა ერთეულებმა განიხილეს და მიღებული უკუკავშირის ნაწილი გათვალისწინებულია. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის დოკუმენტი შესაბამისობაშია ცენტრის მისიასთან, ხედვასთან და სტრატეგიული მიზნებთან.

ამასთან, 2020 წელს დაგეგმილი იყო თანამშრომლების შეფასების სისტემის სრულყოფა. აღნიშნულის შესრულება 2020 წელს ვერ მოხერხდა. 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია თანამშრომლების შეფასების სისტემის დანერგვა და განხორციელება. მიმდინარე პერიოდში დასრულდა სამუშაოს აღწერილობებზე მუშაობა, შემუშავებულია შტატით და შტატგარეშე თანამდებობების ფუნქცია- მოვალეობების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები პრიორიტეტულობის შესაბამისად, ყველა პოზიციაზე. ცალკეული ფუნქციის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, განისაზღვრა მისი ხვედრითი წილი, რაც პირველი ეტაპია შესრულებული სამუშაოს შეფასებისთვის. შეფასების სისტემის დანერგვის მიმართულებით, მოძიებულია eHRms- თანამშრომლის საქმიანობის შეფასების მოდული. ამ მოდულის მიხედვით, სისტემაში ჩაერთვებიან თანამშრომლები. ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს შეფასების წესზე.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო, 2020 წელს მედიის წარმომადგენლებთან ვერ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები. მიმდინარე წლის ივნისის თვეში, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურმა უზრუნველყო მედიის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ცენტრის საქმიანობის, მიმდინარე პროექტების, მიღწევების, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება. შეხვედრას ესწრებოდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და 16 მედია საშუალების წარმომადგენელი.

პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ერთ-ერთი აუდიტორული შემოწმება გადავიდა 2021 წლის გეგმაში, რომელიც განხორციელდა საანგარიშო პერიოდის იანვრის თვეში. ცვლილებასთან დაკავშირებით

ინფორმაცია ცენტრის დირექტორს წარუდგინეს. ასევე, რისკის მართვის ხარისხისა და დანერგილი კონტროლის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით დაგეგმილი იყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის შექმნა. გასათვალისწინებელია, რომ ცენტრის შიდა აუდიტის სამსახური, მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტთან. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა სამინისტროსთან ერთად გრძელდება. ამ ეტაპზე, სამინისტრო მუშაობს დოკუმენტზე, რომლის გავრცელება სისტემაში შემავალი ყველა შიდა აუდიტის სუბიექტისთვისაა დაგეგმილი.

2021 წლის პირველ კვარტალში გადავიდა ENQA-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე თვითშეფასების ანგარიშის მომზადება. საანგარიშო პერიოდის პირველ კვარტალში სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა ანგარიში და გადაეგზავნა ENQA-ს. ცენტრმა, მიმდინარე წლის აპრილში წარმატებით გაიარა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მონიტორინგის ჯგუფის შეფასების პროცესი.

პროფესიული განათლების მიმართულებით, 2020 წელს დაგეგმილი იყო ექსპერტთა ტრენინგი/სერტიფიცირების პილოტირება, ვადამ 2021 წლისთვის გადაინაცვლა და შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში დასრულდა კონკურსი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით, ასევე, დასრულდა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა ახალი კორპუსის ფორმირება.

2021 წლისთვის კი გამოცხადდა არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტების შერჩევის კონკურსი, რომელიც მოიცავდა 4 ეტაპს: განაცხადის წარდგენა და გადარჩევა, ტესტირების შესრულება ელექტრონული ფორმით, ტრენინგის ჩატარება და დავალების შესრულება ელექტრონული ფორმით. კონკურსის შედეგად, არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირებული კონსულტანტის სტატუსი 42 პირს მიენიჭა.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ აღმესიძის ქუჩა, მეორე შესახევევი N2

ტელეფონი/ფაქსი: +995 322 200 220 (*3599) საფოსტო ინდექსი: 0193

ელ. ფოსტა: info@ege.ge